



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №88

2015 წლის 17 სექტემბერი

ქ. დუშეთი

ქ. დუშეთში მცხოვრებ ზურაბ ქაზუმაშვილის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლისათვის ნომრის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივნისის N21 დადგენილების “დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, გამზირების შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინის ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 22 აგვისტოს №46 განკარგულების „ქ. დუშეთის ცენტრალური მოედნის და ქ. დუშეთის და მის შემადგენლობაში შემავალი დასახლებების ცალკეული ქუჩების სახელდების შესახებ“ მე-2 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:

1. ქ. დუშეთში მცხოვრებ ზურაბ ქაზუმაშვილის (პ/ნ 16001005706) საკუთრებაში არსებულ სახლს (ს/კ. N71.51.02.406) მდებარე ქ. დუშეთში, ყოფილი სტალინის ქუჩაზე, მიენიჭოს ნომერი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად ქ. დუშეთი, დ. აღმაშენებლის ქ. N81.

2. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, დაინტერესებულ პირს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი